ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 0901/10/001

(კოდი 51100000)

ქ.თბილისი 14 იანვარი 2011 წელი

ქვემო ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა (შემდეგში წოდებული როგორც „შემსყიდველი“), გამგებლის თ.გრიგალაშვილის სახით სახით და მეორეს მხრივ შპს „ალფა“ (შემდეგში წოდებული როგორც „მიმწოდებელი“), დირექტორის ნ. ყიფიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია გამგეობის ყოფილ შენობაში აირ-კონდიციონერების დემონტაჟი და რაიონულ მუნიციპალიტეტებში მათი მონტაჟი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია გამგეობის ყოფილ შენობაში 14 ერთეული აირ-კონდიციონერის დემონტაჟი და რაიონულ მუნიციპალიტეტებში მათი მონტაჟი. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4957.06 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 06 თეთრი) ლარს, დღგ-სა და სხვა თანმდევი მომსახურების ღირებულებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 3 თებერვლამდე;

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი- მოსკოვის გამზ.№14 და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 9 რაიონული მუნიციპალიტეტის შენობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში;

6.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;

6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;

7.2. ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი: ლ.ჯავახიშვილი-აპარატის უფროსი, ნ. ედილაშვილი-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, ა. ნებიერიძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი და თ. გელოვანი-აპარატის წამყვანი სპეციალისტი;

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2011 წლის 5 თებერვლამდე.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:

ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, მოსკოვის გამზ.14
სს „ლიბერთი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 208204959

მიმწოდებელი:

შპს „ალფა"
ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქუჩა №114
სს „საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა 225673200
კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 201948410

გამგებელი

---------- თ. გოიგალაშვილი

დირექტორი

---------- ნ. ყიფიანი

ძველ გამგეობაში აირ-კონდიციონერების დემონტაჟი და მუნიციპალიტეტებში მათი დაყენება

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რ-ბა	მასალა		ხელფასი		სულ ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	აირ-კონდიციონერის (გარე და შიდა დანადგარით) დემონტაჟი	ც	11			100	1100	1100,00
	ამწე კალათას სამუშაო	მ/სთ	1			100	100	100,00
2	აირ-კონდიციონერის (შიდა დანადგარით) დემონტაჟი	ც	3			25	75	75,00
3	აირ-კონდიციონერის (გარე და შიდა დანადგარით) მონტაჟი	ც	11			150	1650	1650,00
4	აირ-კონდიციონერის (შიდა დანადგარით) მონტაჟი	ც	3			75	225	225,00
	აირ-კონდიციონერების დანადგარების შემაერთებელი მაკომპლექტებელი	გრძ/მ	10	20	200		0	200,00
	ჯამი				200		3150	3350,00
	ზ. ხარჯები 14%							469,00
	ჯამი							3819,00
	გეგმ. დაგროვება 10%							381,90
	ჯამი							4200,90
	დღგ 18%							756,16
	ჯამი							4957,06

შპს "ალფა"-ს დირექტორი ნ. ყიფიანი